ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

ქეთევან მეტრეველი

# გარემოსდაცვითი პოლიტიკა: კანონმდებლობის იმპლემენტაციის გამოწვევები თუშეთში.

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების
ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი მელიქიძე
ასისტენტ-პროფესორი

თბილისი 2024

# სარჩევი


შესავალი ..... 4

თავი 1 : თუშეთის ტურისტული პოტენციალი ..... 9

1.2 თუშეთის ტურიზმის სტატისტიკა და მისი შედეგები ..... 11

1.3 გზა, როგორც შემაფერხებელი ელემენტი ..... 13

1.4 თუშეთის ინტერნეტიზაციის პროექტი და მზის ენერგიის პოტენციალი ..... 15

თავი 2: კანონის შეუსაბამობა თუშეთში არსებულ ვითარებასთან ..... 18

2.1 იმპლემენტაციის ინსტრუმენტები: ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი ..... 18

2.2 მაღალმთიანი რეგიონების შედარება: ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი ..... 21

თავი 3: საერთაშორისო კონვენციები და თუშეთის რეალობა ..... 25

3.1 “კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ” ..... 25

3.2 “ასოცირების ხელშეკრულება” ..... 27

დასკვნა ..... 30

ბიბლიოგრაფია ..... 32

დანართი # 1 ..... 36

ინტერვიუებისთვის შემუშავებული კითხვარი ..... 36

# ანოტაცია

ნაშრომი შეისწავლის გამძაფრებულ დაბრკოლებებს, რომლებიც აფერხებენ გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და პრაგმატული აღსრულების შესაბამისობას თუშეთის რეგიონში. საკითხი აქტუალურია თუშეთის სიტუაციის სტაბილური სიმძიმიდან და გამოუსწორებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე. კვლევის ფარგლებში პოლიტიკური სტრუქტურების, ეკოლოგიური სისტემებისა და ტურიზმის ურთიერთკავშირის გასაანალიზებლად გამოყენებულია პოლიტიკური ეკოლოგიის თეორია. ნაშრომში  გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, ჩატარებულა სიღრმისეული ინტერვიუები. კვლევა ცდილობს დაადასტუროს დაშვება, რომ მზარდი ტურიზმის პირობებში, რაც უფრო სუსტია კანონის იმპლემენტაცია, მით უფრო დაბალია გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტიანობა. არსებული ლიტერატურის კრიტიკული ანალიზისა და თუშეთის მაცხოვრებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან მიღებული დასკვნების გამოყენებით, ეს ნაშრომი დეტალურად განიხილავს მაღალმთიანი რეგიონის განვითარების მარეგულირებელ კანონმდებლობას და მის იმპლემენტაციას თუშეთის სოციალურ-ეკოლოგიური კონტექსტის კუთხით. კვლევა ხელს უწყობს განსხვავებულ პერსპექტივებს და ეკოლოგიურად მგრძნობიარე რეგიონებში პოლიტიკის განხორციელების უფრო ფართო დისკურსს.

## შესავალი

თუშეთი, რეგიონი ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოში არის ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი და მომხიბვლელი თავისი ბუნებრივი სილამაზითა თუ ბიომრავალფეროვნებით. რამდენადაც საქართველო ისწრაფვის მდგრადი განვითარებისკენ, თუშეთის კონსერვაციასა და განვითარებას შორის დელიკატური ბალანსი ჩნდება ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლიტიკის კრიტიკულ კერად. კვლევაში ცენტრალური ადგილი უკავია გარემოსდაცვით პოლიტიკას, სახელმწიფოს მიერ მიღებულ გარკვეულ კანონმდებლობებსა და პროექტებს. კვლევა ცდილობს გამოავლინოს თუშეთის მდგრადი განვითარების სწრაფვასთან დაკავშირებული სირთულეები, შეისწავლოს გარემოს დაცვის იმპერატივების თანაარსებობა რეგიონის უნიკალურ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ქსოვილთან.

თუშეთი, ხასიათდება თვალწარმტაცი პეიზაჟებით, მდიდარი ეკოლოგიით და დროის გამოცდას გადარჩენილი კულტურული მემკვიდრეობით. ხელუხლებელი ალპური მდელოები, ტყეები და მდინარეები არა მხოლოდ წარმოადგენს იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების ჰაბიტატს, არამედ ძირძველი თუშების სასიცოცხლო წყაროსაც, რომელთა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები რთულად არის გადაჯაჭვული ბუნებრივ გარემოსთან. მზარდი გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების ფონზე, ყოვლისმომცველი და ადგილობრივად ადაპტირებადი გარემოსდაცვითი პოლიტიკის საჭიროება გადამწყვეტი გახდა. კვლევის ფარგლებში ძირითად საკვლევ არეალს წარმოადგენს თუშეთის ტერიტორია და მისი გარემოს მდგომარეობა. 2015-2018 წლის კვლევაში მთიანი რეგიონის განვითარების თანმხლებ ეფექტად გვევლინება საარსებო წყაროს ტრადიციული გზების მიტოვება. კვლევის საფუძველზე ვლინდება, რომ ტურიზმის განვითარებამ წაახალისა თუშები, რომ ინვესტიციები ჩაედოთ გარკვეულ მიტოვებულ სახლებში და დაეწყოთ ბიზნესის წარმოება. თუშეთში და საქართველოს სხვა მთიან ადგილბში არის სხვადასხვა შემთხვევები, როცა ადგილობრივმა ოჯახებმა მიწათმოქმედება მიატოვეს და ძალისხმევა საოჯახო სასტუმროებში ჩადეს. შესაბამისად, პროდუქციის წარმოების ნაცვლად მას დაბლობიდან ყიდულობდნენ. (ხარტიშვილი,2020) სხვა არსებული კვლევიებიც ადასტურებს, რომ რეგიონში ტურიზმის დრამატულმა განვითარებამ

საკმაოდ უარყოფითი გავლენა იქონია თუშეთის კულტურულ-ისტორიულ ფასეულობებზე. განსაკუთრებით ომალოში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა ახალი შენობები ტურისტული მომსახურებისთვის (განსაკუთრებით საოჯახო სასტუმროები ან სასტუმროები), რომლებიც არ სცემენ პატივს, ანუ არ მოდიან თანხვედრაში რეგიონის ტრადიციულ არქიტექტურასთან. (Svajda, ხარტიშვილი,2020)

გარდა ტერიტორიული მოწყობის გეგმისა თუშეთის რეგიონში მოქმედებს ასევე 2015 წელს მიღებული ,,მთის კანონი" ანუ "კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" თუმცა, ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში თუშეთის განვითარებასთან დაკავშირებული პროექტები კი, მოიაზრება ეკოლოგიური პოლტიკის და მდგრადი განვითარების ჭილში, მაგრამ არსებულიატიური გადაუჭრელი საკითხები საერთოდაც არ მიგვითითებს მიზნების აღსრულების რაიმე ტენდენციაზე. (ხუროშვილი&ჭანია,2020). შესაბამისად, მოცემული საკვლევი საკითხი **აქტუალურია** იმდენად, რამდენადაც ორიენტირებულია გარემოსდაცვითი პოლიტიკის კონტექსტში დღესდღეობით თუშეთში არსებული ვითარების შესწავლასა და გაანალიზებაზე, მთიანი რაიონების სპეციფიკური საჭიროებებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. თუშეთის რეგიონი არაერთი აქტუალური სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემის წინაში დგას. დღესდღეობით მსოფლიოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს გამოწვევას მდგრადი განვითარება წარმოადგენს, რომელიც მოიაზრებს სოციალური კეთილდღეობისათვის ეკონომიკ ურ განვითარებას გარემოს დაცვითი ელემენტების გათვალისწინებით. თუშეთი, თავისი უხეში რელიეფით, მდიდარი ბიომრავალფეროვნებით და გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობით, წარმოადგენს დამაჯერებელ მაგალითს მდგრადი განვითარების ინიციატივების პრაქტიკული შედეგების გასაგებად.

საკვლევი თემის აქტუალობიდან გამომდინარე კვლევის **მიზანია** მზარდი ტურისტული პოტენციალის პირობებში, კანონმდებლობის სუსტი იმპლემენტაციის როლის დადგენა გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტიანობაზე. კვლევის **ამოცანებს** წარმოადგენს - 1. შევისწავლოთ თუშეთის ტურისტული პოტენციალი დინამიკაში; 2. ვიკვლიოთ კანონმდებლობის იმლემენტაციის მექანიზმები; 3. შევაფასოთ გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტიანობა; 4. დავადგინოთ კანონმდებლობის

იმპლენტაციის როლი გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტიანობის კუთხით. კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ თუშეთის უშუალო მაცხოვრებელი და საქართველოს ტურიზმის ექსპერტი.

ნაშრომის ფარგლებში პასუხი გაეცა შემდეგ საკვლევ **კითხვას**: მზარდი ტურისტული პოტენციალის პირობებში კანონმდებლობის იმლემენტაცია როგორ აისახება გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტიანობაზე? **ჰიპოთეზას**, რომელიც კვლევის პროცესში დადასტურდება ან უარყოფილი იქნება, წარმოადგენს: მზარდი ტურიზმის პირობებში, რაც უფრო სუსტია კანონის იმპლემენტაცია, მით უფრო დაბალია გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტიანობა.

მოცემული კვლევის **თეორიული ჩარჩოს** ფარგლებში გამოყენებულია რობინსი (2012), ბრაიანტი და ბეილი (1997) პოლიტიკური ეკოლოგიის თეორია. პოლიტიკური ეკოლოგიის თეორია, როგორც ამ ავტორებმა განიხილეს, თეორია იძლევა ყოვლისმომცველ სპექტრს, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გაანალიზდეს რთული ურთიერთქმედება პოლიტიკურ სტრუქტურებს, ეკოლოგიურ სისტემებსა და ტურიზმის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ განზომილებებს შორის. ეს თეორიული პერსპექტივა ამტკიცებს, რომ გარემოსდაცვითი საკითხები არსებითად პოლიტიკურია, ჩამოყალიბებულია ძალაუფლების დინამიკის, ეკონომიკური ინტერესებისა და ინსტიტუციური მოწყობის მიხედვით. (ბრაიანტი და ბეილი, 1997). პოლიტიკური ეკოლოგია, როგორც ზემოაღნიშნული მკვლევარების მიერ არის არტიკულირებული, იძლევა ინსტიტუციური მოწყობისა და სოციალურ-პოლიტიკური დინამიკის სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას, რომელიც აყალიბებს გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებას მზარდი ტურიზმის კონტექსტში. თეორიის გამოყენებით, ეს კვლევა მიზნად ისახავს გასცდეს მზარდი ტურიზმის კანონისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტურობის ზედაპირული დონის ანალიზებს. ის ცდილობს აღმოაჩინოს ძირითადი მიზეზები და სისტემური გავლენები, რომლებიც განსაზღვრავს გარემოსდაცვითი პოლიტიკის წარმატებას ან წარუმატებლობას ტურისტული საქმიანობის გაფართოების პირობებში. ეს თეორიული არჩევანი აძლიერებს კვლევის შესაძლებლობას უზრუნველყოს კომპლექსური დინამიკის ყოვლისმომცველი ხედვა და ხელი შეუწყოს უფრო

ინფორმირებულ და ნიუანსურ დისკურსს მდგრადი ტურიზმის განვითარების შესახებ.

რადგან დაინტერესებულები ვიყავით საკითხის სიღრმისეული ანალიზით, აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულია **თვისებრივი მეთოდი**. კვლევის ფარგლებში სიღრმისეული ინტერვიუები, რამაც საშუალება მოგვცა წინასწარ განსაზღვრულ თემებთან ერთად, საჭიროებიდან გამომდინარე დაგვესვა არაწინასწარ დადგენილი კითხვებიც. ინტერვიუ ჩატარდა 2 რეპოდენტთან, რომლთაგან ორივე წარმოადგენს თუშეთის მაცხოვრებელს და ერთ-ერთი არის იქ არსებული ყურადსაღები ტურისტული ადგილის თანადამფუძნებელი გამოყენებული იყო 1 ინტერვიუს გზამკვლევი (დანართი N1)

რესპონდენტების შესარჩევად გამოყენებული იყო არაალბათური, მიზნობრივი **შერჩევა**. ინტერვიუები ჩატარდა 2 ეტაპად პირისპირ, 2023 წლის დეკემბრის პერიოდში. კვლევა ჩატარდა ყოველგვარი ეთიკური ნორმების გათვალისწინებით, რესპონდენტები გაფრთხილებულნი იყვნენ რომ მოხდებოდა აუდიო ჩაწერა, კვლევაში დაფარულია რესპონდენტთა ვინაობა.

**ლიტერატურის მიმოხილვა:** კვლევის ფარგლებში ყურადსაღებად მივიჩნიე ჯ.ვიგის და მაიკლ ე. კრაფტის "გარემოსდაცვითი პოლიტიკა: ახალი მიმართულებები ოცდამეერთე საუკუნეში" ("Environmental Policy: New Directions for the Twenty-First Century" by Norman J. Vig and Michael E. Kraft) იგი თანამედროვე ეპოქაში გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაგების ფუნდამენტურ ლიტერატურას წარმოადგენს. წიგნის აქცენტი მდგრად განვითარებაზე თანხვედრაშია თუშეთის რეგიონთან, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს თავისი მდიდარი ბიომრავალფეროვნება და დააკმაყოფილოს თავისი მაცხოვრებლების ეკონომიკური საჭიროებები. აშრომში მდგრადი განვითარების მოდელების შესწავლისას იკვეთება აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა მყიფე ეკოსისტემის კომპრომისის გარეშე. არანაკლებ მნიშვნელოვანია, მთის მეცნიერების ჟურნალის კვლევას: “Balancing development and conservation needs of stakeholders in the Tusheti Protected Landscape”(2020) აღნიშნული ნაშრომი თუშეთის დაცულ ლანდშაფტში განვითარებისა და კონსერვაციის საჭიროებებს შორის დელიკატური წონასწორობის შესახებ გთავაზობთ კომპლექსური ეკოლოგიური გამოწვევის ყოვლისმომცველ

ანალიზს. ავტორები ოსტატურად იკვლევენ დაინტერესებულ მხარეთა რთულ ქსელს, ნათელს ჰფენენ სხვადასხვა პერსპექტივებს, რომლებიც აყალიბებენ რეგიონის მომავალს. ნაშრომში ასევე მოცემულია რეგიონში ტურიზმის განვითარების ზემოქმედების ანალიზი მისი შესაბამისობა მდგრად განვითარებასთან და ეკონომიკასთან.

# თავი 1: თუშეთის ტურისტული პოტენციალი

## 1.1 რატომ უნდა ჩავიდეთ თუშეთში?

თუშეთი წარმოადგენს გეოეკონომიკურ და ეთნოკულტურულ ფენომენს მეცნიერული და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით. იგი არის ერთ-ერთი უდიდესი დაცული ტერიტორია, რომელიც, IUCN-ის კლასიფიკაციით, სამი ტიპის დაცულ ტერიტორიას აერთიანებს: თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, და დაცული ლანდშაფტი. საქართველო, როგორც უძველესი და მდიდარი კულტურის ქვეყანა, ტრადიციულად წარმოადგენს ტურიზმის არეალს მათთვის, ვინც დაინტერესებულია ავთენტური სანახაობებით და ცოცხალი კულტურით. ქვეყანაში მრავალი ძეგლია, რომელიც საერთაშორისო და რეგიონულ ტურისტულ ბაზარზე უნიკალურ სანახაობას ქმნის. (ხარატიშვილი,2022)

ეთნოტურიზმი ეთნიკური მრავალფეროვნების შენარჩუნების ერთ-ერთი პერსპექტიული გზაა და უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის რეგიონულ განვითარებაში. ეთნოტურიზმის განვითარებით განისაზღვრება რეგიონის ეთნოკულტურული რესურსები. თუშეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მთის რეგიონია, მისი უნიკალური ბუნება და რესურსები მას საინტერესო და მიმზიდველ ადგილად ხდის. (ციცაგი, კვირკველია, გუგეშვილი 2016).

ისევე, როგორც სხვა არაერთ მაღალმთიან რეგიონში საქართველოში, თუშეთშიც კვლავ შენარჩუნებულია მრავალსაუკუნოვანი კულტურული ელემენტები. ძირძველი თუშები, თავიანთი განსხვავებული ენითა და ტრადიციებით, გვთავაზობენ თვალწარმტაც ხედვას ცხოვრების წესზე, რომელიც ღრმად არის ფესვგადგმული რეგიონის ისტორიაში. საერთაშორისო ტურისტები დაინტერესებულნი არიან ასეთი განსაკუთრებული და განსხვავებული კულტურებით. უძველესი ხალხური მუსიკიდან და ტრადიციული ცეკვებიდან დაწყებული, თუშური კოშკებით დამთავრებული, რეგიონი უზრუნველყოფს ავთენტურ და ჩაძირულ კულტურულ გამოცდილებას იმ ვიზიტორებისთვის, რომლებიც ეძებენ ნამდვილ კავშირს წარსულთან. წარსული გეოპოლიტიკური სირთულეების ფონზე, თუშეთი რჩება ბუნებრივი სილამაზისა და კულტურული ავთენტურობის ბასტიონად. ბილიკები,

რომლებიც ტრიალებს მის ხელუხლებელ პეიზაჟებში გვთავაზობენ ბუნების, კულტურისა და გეოპოლიტიკის ურთიერთქმედების ჭვრეტის შესწავლას.

საუკუნეების მანძილზე გეოსტრატეგიულ ზონაში მოთავსებულ თუშეთს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ რეგიონის უსაფრთხოებისთვის, არამედ ბუნებრივი ხიდი იყო ევრაზიული კულტურების დამაკავშირებლად. მისი სტრატეგიული მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა პოსტსაბჭოთა პერიოდში. სწორედ მაშინ გამოიკვეთა ამ რეგიონის გეოსტრატეგიული მდებარეობის კონტურები. თუშეთის მდგრადი განვითარების მნიშვნელობა გასცდა ეროვნულ და სახელმწიფო საზღვრებს და მოექცა საერთაშორისო გარემოსდაცვით ჩარჩოებში, რამაც საფუძველი ჩაუყარა ტრადიციული ცოდნისა და გამოცდილების ადაპტირებას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან და თანამშრომლობის შეუქცევად პროცესებთან. (ლეკაიძე 2021)

აქტუალური ეკოლოგიური პრობლემების კონტექსტში თუშეთი ადასტურებს დელიკატურ ბალანსს ადამიანთა თემებსა და ბუნებრივ სამყაროს შორის. ალპური მდელოები, სავსე ველური ყვავილებით და დათოვლილი მწვერვალები შეიცავს მდიდარ ბიომრავალფეროვნებას, რაც მიუთითებს რეგიონის ვალდებულებაზე, შეინარჩუნოს თავისი ეკოლოგიური მემკვიდრეობა. თუშური თემების მიერ განხორციელებული კონსერვაციის მცდელობები ხაზს უსვამს ადამიანთა საზოგადოებებსა და მათში დასახლებულ მყიფე ეკოსისტემებს შორის ღრმა ურთიერთკავშირის საერთო გაგებას. თუშეთში მოგზაურობის დაწყება არ არის მხოლოდ თვალწარმტაცი პეიზაჟების შესწავლა, არამედ მისი თემების მიერ გაკეთებულ ეკოლოგიურ არჩევანში გარკვეული ჩართულობა. ბილიკები, რომლებიც გადის ამ ხელუხლებელი უდაბნოში, იძლევა შესაძლებლობას, უშუალოდ დავინახოთ სიმბიოზური ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასა და ბუნებრივ გარემოს შორის, რაც ხაზს უსვამს ფართომასშტაბიანი ინიციატივების როლს ეკოლოგიური შედეგების ჩამოყალიბებაში.

## 1.2 თუშეთის ტურიზმის სტატისტიკა და მისი შედეგები

თუშეთი მდებარეობს კახეთის მხარის, ახმეტის მუნიციპალიტეტში, რის გამოც უშუალოდ თუშეთის ტერიტორიაზე ტურიზმის ნაკადების შესახებ წარმოებული სტატისტიკების მოძიება ფაქტობრივად შეუძლებელია. თანაც, ტურისტული სეზონი ამ ტერიტორიაზე 4-5 თვე გრძელდება, ძირითადად მაისიდან-სექტემბრამდე, ხოლო დანარჩენ დროს გზა გადაკეთილია, დიდთოვლობიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, კარგად ცნობილია, რომ დაახლოებით ათიოდე წლის წინათ, თუშეთში ტურისტი ვერ იპოვიდა შესაფერის ღამის გასათევს. თუმცა ამჟამად, აქ უკვე 40-ზე მეტი საოჯახო სასტუმრო სეზონურად აქტიურად ფუნქციონირებს. კიდევ რამდენიმე კი, მშენებლობის პროცესშია, მათ შორის ერთი-ერთი ყველაზე დიდი და თანამედროვე სასტუმრო ომალოში. ამ ინვესტიციების ფონზე, ტურიზმში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა და მიღებული შემოსავლებიც იზრდება. (კოჭლამაზიშვილი,პელილო 2014). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ადგილობრივი ტურიზმის 2023 სტატისტიკის მიხედვით სადაც მონაცემების დაყოფა ხდება მხოლოდ რეგიონება ვხედავთ კახეთის რეგიონს, რომელიც ვიზიტორების რაოდენობით მე-4 ადგილზე.




წყარო : https://shorturl.at/cdhIS

პირველი წყაროს გათვალიწინებით დაუდგენელია უშუალოდ რამხელა ვიზიტორთა წილი მიდის მხოლოდ თუშეთის ტერიტორიაზე. ამიტომ, კვლევის ფარგლებში ვინაიდან საერთო სტატისტიკიდან მონაცემების მიღება შეუძლებელია, ჩვენ გავაანალიზებთ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ წარმოებულ ტურისტთა ყოველწლიურ სტატისტიკურ მაჩვენებლებს.







წყარო : https://apa.gov.ge/en/statistika/vizitorta-statistika

მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად 2019 თუშეთის დაცულ ტერიტორიას სტუმრობა 16000-ზე მეტი ადამიანი, 2023 საგრძნობლად დაეცა ვიზიტორთა რაოდენობა, თუმცა თუშეთმა მაინც მოახერხა 12000-ზე მეტი ტურისტის მიღება. 2019-2023 წლის პერიოდში ვიზიტორთა რაოდენობა არ ჩამოსულა 12000-ზე დაბლა. ამგვარი სტატისტიკა მიგვითითებს იმაზე, რომ რეგიონს აქვს შესაძლებლობა მიიღოს განათავსოს და უზრუნველყოს ტურისტები. ეს თავის მხრივ, წარმოქმნის გარემოს და ინფრასტრუქტურის ცვლილებებს. 2018 წელს თუშეთში მდებარე 10-მა სოფელმა და ნასოფლარმა მიიღო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. მანამდე თუშეთში ძეგლის სტატუსი მხოლოდ დართლოს, ზემო ომალოსა და დოჭუს ჰქონდა. თუშეთში ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ, მოთხოვნიდან გამომდინარე

ადგილობრივები ძველი აგებული სახლების რეაბილიტაციას ახდენდნენ, ზოგჯერ კი, ახალ და თანამედრვე ვიზუალის შენობებს აშენებდნენ, რაც თუშური არქიტექტურისთვის და არსებული საუკუნოვანი ბუნებისთვის სრულიად შეუსაბამოა. ამით მახინჯდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის იერსახე. ყველაზე მეტად მოდერნიზაციის ცვლილებები შეეხო სოფელ ომალოს ვინაიდან იგი თუშეთის ადმინისტრაციული ცენტრია. (ნიკოლავა,2018)

რეგიონში ტურიზმის დრამატულმა განვითარებამ საკმაოდ უარყოფითი გავლენა იქონია თუშეთის კულტურულ-ისტორიულ ფასეულობებზე. ტერიტორიაზე უნებართვოდ აშენდა ახალი შენობები ტურისტული მომსახურებისთვის (განსაკუთრებით საოჯახო სასტუმროები), რომლებიც არ სცემენ პატივს, არ მოდიან თანხვედრაში რეგიონის ტრადიციულ არქიტექტურასთან. (Švajda & ხარტიშვილი,2020) ამ კუთხით, მნიშვნელოვანი გადადგმული ნაბიჯი იყო "თუშეთის ტერიტორიული მოწყობის გეგმა''. დოკუმენტის მიხედვით თუშეთის სოფლებში ინფრასტრუქტურის რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს. მასში განსაზღვრულია დეტალურად (კონკრეტული სოფლების მაგალითზე) ტრადიციული სამშენებლო ტექნიკა, გამოსაყენებელი მასალები და შენობების ზოგადი გარეგნობა და მათი ესთეტიკა. თუმცა ხარატიშვილის კვლევაში იკვეთება დასკვნები იმის შესახებ, რომ კანონის იმპლემენტაცია თუ აღსრულება სუსტად მიმდინარეობს და მაინც ხდება უკანონო მშენებლობა.

## 1.3 გზა, როგორც შემაფერხებელი ელემენტი

დღეს თუშეთში მოსახვედრად ერთადერთი, ომალო – ალვანის საავტომობილო გზა არსებობს, რომელიც ურთულეს სატრანსპორტო მონაკვეთად ითვლება საქართველოში. მოსაზრებები გზის, როგორც შემაფერხებელი ფაქტორის შესახებ 2 ნაწილად იყოფა: გზა თავისი ექსტრემალური პირობებიდან გამომდინარე თუშეთში ტურისტების მიზიდვის ერთ–ერთი საშუალებაა, მეორე მხრივ კი გზის მდგომარეობა ხშირად იმდენად სავალალოა, რომ ტურისტებს აშინებს და აფრთხობს. 72

კილომეტრიანი გზის მონაკვეთის გავლა მხოლოდ მაღალი გამავლობის, ორხიდიანი მანქანით არის შესაძლებელი და 4 საათზე მეტი სჭირდება.

გზის გადალახვის სირთულე ანელებს და აფერხებს მხარის ეკონომიკურ განვითარებას და მის ხელმისაწვდომობას ტურისტებისთვის, რაც თუშეთის განვითარების ერთ-ერთი მთავარი გენერატორია. თუშეთის გზა განსაზღვრავს თუშეთში მაცხოვრებელთა და ვიზიტორთა პერიოდულობას, ვინაიდან გზა ღიაა მაისიდან ოქტომბრის ბოლომდე. (თუშეთის ექსტრემალური გზა,2017). 6 თვის განმავლობაში თუშეთში მოხვედრა მხოლოდ ვერტმფრენით არის შესაძლებელი.

სახელმწიფოს ამ პრობლემის გამკლავებას მრავალი წელია ცდილობს. 1935 წელს ქართველმა ისტორიკოსმა, გიორგი ბოჭორიძემ, თავის ნაშრომში განიხილა კახეთი-თუშეთის დამაკავშირებელ გზა და აღნიშნავდა მის მდგომარეობის დადებით და უარყოფით მხარეებზე. მკვლევარი ნაშრომშივე სთავაზობდა საქართველოს იმდროინდელ მთავრობას ალტერნატიული გზის გაყვანის ადგილს. “არსებულ გზას ბევრი ნაკლი აქვს: ის ვიწროა (პატარა ნაწილის გარდა); მას პირვანდელი გზების “ჭირკვანა”-ები, ანუ მიხვეულ-მოხვეულები აქვს მაგალითად: აბანოს აღმართი, აბანოს გამოღმა კლდეების აღმართი და სხვა. (ბოჭორიძე, 1993). 2018 ეწლს იგეგმებოდა ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა, რომელიც პანკისი–თუშეთის მთიან რეგიონებს შეაერთებდა. ეს თავის მხრივ უფრო დიდი პროექტის ყაზბეგი–ხევსურეთი–თუშეთის შემაერთებელი გზის პროექტის ნაწილია. გზის განვიტარების პროექტს საკმაოდ ბევრი მოწინააღმდე ყადა, განსაკუტრებით, ჩაღმა თუშები, რომლებიც მიუთითებენ უნიკალური ბუნებრივი ეკოსისტემების დეგრადაციაზე ანუ უარყოფით გავლენაზე წითელ ნუსხაში და საერთაშორისო დონეზე დაცულ სახეობებზე. პრემიერ მინისტრის 2017 წლის განცხადებით, გზის მშენებლობის მთავარ მიზანს წარმოადგენს ადგილობრივების უკან, მთაში დაბრუნება. მსგავსი ტიპის განცხადებები მიუთითებს თუშეთის ყოფითი რეალობის ვერ აღქმაზე, არ არსებობს არანაირი ინფრასტრუქტურა, არც ელექტროენერგიაა, არც რაიმე კომუნიკაციის საშუალება — ზამთარში იქ არავინ დაბრუნდება. (მთის ამბები,2017)

დღესდღეობით თუშეთის გზის განვითარება-დახვეწის საკითხი ღიად რჩება. არ არის გამოცხადებული რაიმე კონკრეტული თარიღები ან სამუშაო გეგმები და პირობები. 2019-2023 საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების

სტრატეგიაში აღნიშუალია, რომ არსებულ რეგიონებში ძირითადი ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ყველა მაგისტრალი დამაკამყოფილებელ მდგომარეობაშია. ასევე, კარგია სოფლებამდე მიმავალი გზები. თუმცა აღნიშულია, რომ მაღალმთიან დასახლებებში, არის გზები სადაც გადაადგილებისთვის შეუსბამო მდგომარეგაა, ეს პრობლემა აფერხებს კავშირ სხვა დასახლებულ და ზოგჯერ მეტად განვითარებულ რეგიონებთან. ასევე, აქვეითებს საჭირო სერვისებზე წვდომას. სტრატეგიაში ასევე აღნიშულია, რომ მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის 33% შიდაგზების აღწერისას დამაკმაყოფილებელ დამოკიდებულებას გამოთქვამს, ხოლო დაბლობებში გზების სეფასების კუთით - 57%. (მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია, 2019)

## 1.4 თუშეთის ინტერნეტიზაციის პროექტი და მზის ენერგიის პოტენციალი

გამომდინარე იქიდან, რომ გაიზარდა ტურიზმის მაჩვენებლები მოსახლეობას და ჩამოსულ სტუმრებს სჭირდებათ კავშირგაბმულობა, ინტერნეტი. სოფლების მხოლოდ 40%-ს აქვს მობილური კავშირი, დანარჩენები კავშირის გარეშე არიან დარჩენილნი, ეს უშლის ხელს რეგიონის განვითარებას. ამიტომ, ტურიზმი საკმაოდ კონცენტრირებულია. სარგებელი მხოლოდ რამდენიმე სოფელს აქვს, დანარჩენი სოფლების მოსახლეობა ეკონომიკური შესაძლებლობების კუთხით არახელსაყრელ პირობებში იმყოფება. როგორც წესი, თანამედროვე საკომუნიკაციო სერვისების მიწოდება ხდება კერძო კომპანიებისგან. სამწუხაროდ, ასეთი სერვისების მაღალმთიანი რეგიონებისთვის მიწოდება რთული და ძვირია ადგილმდებარების მიუღწევადობდან გამომდინარე. კერძო კომპანიებს ასეთი ლოკაციები ნაკლებად აინტერესებთ შედეგად, მაღალმთიანი რეგიონები ვერ იღებენ საჭირო სერვისებს. (კოჭლამაზიშვილი,2020). საბედნიეროდ, მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაცია Internet Society – ISOC იზოლირებული რეგიონების გარე სამყაროსთან დააკავშირებას გულშემატკივრობს. საქართველომაც მოახერხა ამ კონცეფციით სარგებლობა და თუშეთის განვითარების ფონდის აქტიურობით 2017-ში უსადენო ფართოზოლოვანი ინტერნეტი მიეწოდა თუშეთის მაღლობებში მცხოვრებ იზოლირებულ მოსახლეობას.

პროექტის მეშვეობით ინტერნეტი თუშეთის თითქმის ყველა სოფელს მიეწოდა. ამ პროექტს გადამწყვეტი მნიშნელობა ჰქონდა თუშეთის იმ სოფლებისთვის ინტერნეტი ერთადერთი წყარო გახდა ვინაიდან მობილური ქსელები ვერ იჭერს. (პალოვირტა,2017)




წყარო : თუშეთის განვითარების ფონდი

გრაფიკზე ვხედვათ რამდენად გაიზარდა ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა წლებთან ერთად. აღნიშნული პროექტი ნამდვილად წარმოადგენს მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისკენ გადადგმულ დიდ ნაბიჯს. თუმცა, იმისათვის, რომ ინდივიდმა ისარგებლოს ინტერნეტით მას დენის წყარო სჭირდება და მოზამთრე ადამიანები, რომლებიც რჩებიან თუშეთის ტერიტორიაზე დენის გარეშე არიან. შესაბამისად, რთული და მიუღებელია ამ პროექტის წარმატებულობის განსაზღვრა ვინაიდან მისი აქტიურობა და გამოყენებადობა მხოლოდ ზაფხულის, გახსნილი სეოზნის პერიოდში მიმდინარეობს. 2005 წლიდან ფოტოელექტრული სისტემების გამოყენება თუშეთში 8 ტურისტულ სოფელში არის შესაძლებელი. თითოეულის სიმძლავრე იყო 40 ვატი, რაც ჰყოფნიდა ბინის განათებას, მობილურების, და მინი აკუმულატორების დატენვას. 2011 წელს ჩეხეთის მთავრობის გრანტის დახმარებით 15 სოფელში გაკეთდა უფრო მძლავრი - 80 ერთეულის ფოტოელექტრული სადგური.

გასულ წლებში კიდევ დაემატა დაახლოებიით 10. საბედნიეროდ ხდება ცხელი წყლის, ასევე ელექტროენერგიის მიღება. მზის ენერგიის ერთადერთი წყაროა თუშეთის სოფლებში და სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე კიდევ ბევრი წელი ასეთ მდგომარეობაში იქნება.

2007-2009 წლებში მაღალმთიან სოფლებში მათ შორის თუშეთში მზის რადიაცია გაზომეს და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრა, რომ თუშეთის ტერიტორიის ჰორიზონტალურ ზედაპირზერადიაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი უდრის 4,33 კვტ.სთ/მ$_2$ ანუ 14 %-ით მეტია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მზის რადიაციის სხვა საშუალო მაჩვენებბლებზე. გატარებული კვლევები მიუთითებს იმასზე, რომ სოფლებში ფოტოელექტრული სისტემები მაღალეფექტურად იმუშავებდნენ, თუმცა რეალობა სხვაგარი აღმოჩნდა. (ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროექტი,2018)

გამომდინარე იქიდან, რომ მზის ენერგია იქაური მაცხოვრებლებისთვის ერთადერთი საარსებო საშუალებაა, ზამთარში და შემოდგომის დასაწყისში უამინდობის დროს ადამიანები მაინც ელექტროენერგიის გარეშე არიან, შესაბამისად ვერც უფასო ინტერნეტით სარგებლობენ. რესპოდენტების პასუხებიდან გამომდინარე სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება მაცხოვრებლების მოთხოვნების გათვალისწინება. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ განახორციელა პროექტი გარკვეული ოჯახების მზის პანელებით აღჭურვის შესახებ, ყველა ოჯახი არ სარგებლობს ამ ინიციატივით. ამან შექმნა უთანასწორობა ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობაში, რის გამოც ზოგიერთი ოჯახი სიბნელეში დატოვა, გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობით. აშკარაა განაწილების უფრო ინკლუზიური და ყოვლისმომცველი სტრატეგიის საჭიროება, რაც უზრუნველყოფს თუშეთის ყველა ოჯახს ელექტროენერგიის უპირატესობებით სარგებლობის შესაძლებლობას.

# თავი 2: კანონის შეუსაბამობა თუშეთში არსებულ ვითარებასთან

## 2.1 იმპლემენტაციის ინსტრუმენტები: ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი

იმპლემენტაციის ინსტურმენტების ანალიზის ფარგლებში კვლევა დაეყრდნო ორ ფუნდამენტურ დოკუმენტს - 1. 2018 წლის "ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროექტს" და უკვე ზემოაღნიშნულ 2. "კანონს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ". თუშეთისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარება, უნდა შეიქმნას მყარი ტრადიციული დარგების შენარჩუნება, რაც პროპორციულია თუშური დასახლებე ბის, ანუ საცხოვრებელი ტერიტორიების, შენარჩუნებასთან. ამავდროულად, განვითარებული ეკონომიკური დარგები შერწყმული უნდა იყოს რეგიონის გეოგრაფიულ თავისებურებებთან. (ჭანია,ხუროშვილი 2020)

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს ორივე რესპონდენტი წარმოადგენს თუშეთის მაცხოვრებელს, რომელებიც აქტიურად არიან ჩართულნი რეგიონის განვითარების და ტურიზმის საქმიანობაში.

ერთ-ერთმა გამოკითხულმა თუშეთის მაცხოვრებელმა დაასახელა რიგი ინფრასტრუქტურული პრობლემები, რომლებიც სხვა რეგიონებთან შედარებით თუშეთში ძალიან მძაფრად არის. დანამდვილებით, პირველი და უდიდესი პრობლემაა კანალიზაცია, საოჯახო სასტუმროებს არ აქვთ შესაბამისი საკანალიზაციო პირობები. სოფლები იმგვარად არის აშენებული კლდეზე, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია კანალიზაციის გაყვანა და ჩამარხვა. ნაგვის გადამუშავება დასახელდა მე-3 დიდ პრობლემად. რესპოდენტის სამოქალაქო აქტიურობის შედეგად წელს ძლივს შემოიღობა ერთეულად არსებული ნაგვის ურნები, შემოუღობავ ნაგვის ურნას ძროხები და სხვა ცხოველები აგდებენ, ანაგავი იშლება მინდორში, ტყეებში და არ ხდებოდა შესაბამისი სერვიის ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ ამ დაბინძურების აღმოფხვრა. რესპოდენტმა ინტერვიუში განაცხადა, რომ სეზონის დახურვასთან ერთად მთავრდება სახელმწიფო სერვისების მოწოდება. სასწრაფო, სამაშველო ნაგვის

მანქანა და ა.შ თუშეთში დარჩენილი 6-7 თვე არ ფუნქციონირებს. (პირისპირი ინტერვიუ, 24.12.2023)

რეგიონში ტურიზმის მომრავლების საკითხმა წლების წინ არსებული კანონის ცვლილების განხორციელებაც გამოიწვია. რესპოდენტის თქმით ადრე არ შეიძლებოდა 1 ოჯახს 1 ცხენზე მეტი ჰყოლოდა, ასევე არც ცხვრის და არც ძროხის ყოლა არ შეიძლებოდა სოფლის ტერიოტორიაზე, ვინაიდან ცხვარი მაგალითად იწვევს ეროზიას და სხვა ეკოლოგიურ პორბლემებს. იქიდან გამომდინარე რომ, ტურიზმმა იმატა და სოფელში ცხოველების საჭიროება გაიზარდა დაზარალდნენ ფუტკრები და გაიზარდა მათი სიკვდილიანობა. რესპოდენტის ცნობით მოხდა ამ საკითხზე რეაგირება და დარეგულირდა ტერიტორიის ელექტრო ღობეებით შემოღობვით. (პირისპირი ინტერვიუ, 24.12.2023)

მეორე რესპოდენტმა, რომელიც ასევე თუშეთის მაცხოვრებელია ინტერვიუში განაცხადა, რომ შემუშავებული თუშეთის განვითარების გეგმა გარკვეულ წილად არეგულირებს მშენებლობებს. რესპოდენტი ახსენებს დაცულ ტერიტორიებს, ეროვნულ პარკში კენკრის მოკრეფაც კი აკრძალულია კანონით. თუმცა, სხვა ტერიტორიებზე კანონის იმპლემენტაცია ბერად ნაკლებია. არ არსებობენ კანონის გახორციელების მაკონტროლებელი ინდივიდები. (პირისპირი ინტერვიუ, 28.12. 2023)

პირველმა რესპოდენტმა ტურიზმის გაზრდის კვლაობაზე ინფრასტრუქტურის გაუმართაობის პარალელურად შეშის საკითხის პრობლემატურობას გაუსვა ხაზი. ყურადსაღებია, რომ “მთის კანონის” თანახმად, სახელმწიფოს აქვს დაკანონებული ვალდებულება ზამთრის პერიოდში მაღალმთიან მუდმივად მცხოვრებ პირთა გათბობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

ვინაიდან და რადგანაც, თუშეთის ტერიტორიაზე არც დენია, არც გაზი და ა.შ. ადამიანები იყენებენ შეშას საწვავად, რომელიც თავისთავად არ არის ულიმიტო. ბუნებრივი რესურსის მოხმარებასა და წარმოებას შორის არის დისბალანსი. ფიზიკურად ვერ ხერხდება ოფიციალურად მოჭრილი ხეებით საკმარისი შეშის მიწოდება, ამიტომ აქტიურად მიმდინარეობას არაოფიციალური ჭრა, რისი კონტროლიც ფაქტობრივად არ ხდება. სახელმწიფოს მხრიდა არ ხდება სოფლებში

დარჩეილი მოსახლეობის შეშით უზრუნველოყოფა და არც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. (პირისპირი ინტერვიუ, 24.12.2023)

მეორე რესპოდენტმა ასევე ისაუბრა თუშეთის გზის საკითხზე, მისი თქმით ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი საშიშია, ურთულესი გადასალახია და ა.შ. სრულიად არ შეესაბამება სიმართლეს და ლეგენდაც კი არის. თუმცა, არარსებული ტარნსპორტირების მექანიზმებიდან გამომდინარე ზამთარში რეგიონი კვდება. რესპოდენტმა თქვა, რომ იგი იყო ბოლო ვინც დატოვა თუშეთი, დარჩნენ მხოლოდ მუდმივი მოსახლეები, რომლებიც მხოლოდ მოხუცები არან. აღნიშნული საკითხის მოგვარებას რესპოდენტი ხედავს საბაგიროს აშენებით აბანოს ხიდიდან რაიმე შედარებით ხელსაყრელ ლოკაციამდე. (პირისპირი ინტერვიუ, 24.12.2023)

მეორე რესპოდენტი ინტერვიუში საუბრობს სახელმწიფოს მხრიდან კანონმდებლობის იმპლემენტაციის მცდელობაზე, რა დროსაც არ ხდება იმის გათვალისწინება, რომ მოსახლეობას არ აქვს შესაბამისი რესურსი, მაგალითად დასალევი წყალი, ფაქტობრივად არ მოდის. “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონის” ფიზიკურად ვერ აღსრულება თუშეთში. რესპოდენტის მიერ მოწოდებული ზუსტი ინფორმაციით თუშეთში 2024 წელს მუდმივ მაცხოვრებლად დარჩენილი ადამიანების რაოდენობა შეადგენს 17 ადამიანს აქიდან 3 ქალი და 15 მამაკაცი. 2 ქალი არის ომალოში 1 შენაქოში. შეიშა რესპოდენტმა მათ თავად მიუტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩენილ მოსახელეობას ზამთრის სიცივის გათბობის გარეშე ატანა მოუწევდათ რაც წარმოუდგენელია (პირისპირი ინტერვიუ, 28.12. 2023).

2019 წელს შემუშავდა ეგრედ წოდებული “თუშეთის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების დოკუმენტი” , რომლის მიხედვითაც 10 სოფელში : დიკლო, შენაქო, დართლო, გირევი, ფარსმა, ომალო, დოჭუ, ინდურთა, ბოჭორნ, მოწესრიგდებოდა ინფრასტრუქტურა მოეწყობოდა ელექტროენერგიის სისტემა, გზა და სხვა. პირისპირი ინტერვიუს პასუხებიდან ვხედავთ, რომ 2024 წელსაც სოფლების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა სავალალო მდგომარეობაშია. მხარეში არ ფუნქციონირებს საგანმანათლებლო დაწესებულებები, საავადმყოფოები და სპორტული ობიექტები. მომსახურეობის სფეროში საჭირო კადრების ნაკლებობაა. უკანალიზაციობიდან გამომდინარე მოსახლეობა ჭებით სარგებლობს, რაც იწვევს ნიადაგს დაბინძურებას. საცხოვრებელი ობიექტების მომრავლების

შემთხვევაში ასეთი მდგომარეობა მიუღებელია და საჭიროებს ტექნოლოგიური ინფრატსრუქტურის სასწრაფო განვითარებას.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ზემოაღნიშნული "მთის კანონის" და "2019-2023 საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიის" ანალიზისას საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მაგალითად მთის კანონის გარკვეული მუხლები საერთოდ არაა მორგებული თუშეთზე., მაგალითად მუხლი 4, რომლიც შეიძლება ითქვას ვერ იმპლემენტირდება ვინაიდან თუშეთში არ არსებობს საავადმყოფო, არის მხოლოდ 1 ექიმი, რომელიც რეპოდენტის ცნობიტ წელს ზამტარში თუშეთში არ იმყოფება. შესაბამისად, მას აღნიშული რეგულაცია არ ეხება, ის არ არის მიბმული არცერთ იურიდიულ პირთან, მათ შორის არც საავადმყოფოსთან და შესაბამისად, ვერანაირ ბენეფიტს ვერ იღებს. ასევე, მე-4 მუხლის გ) , დ) ქვეპუნქტები საერთოდ აცდენილია თუშეთის რეალობას, რადგანაც გათბობისთვის ტრადიციული გზით ელექტროენერგიის ვერ გამოიყენება, რომც მოიხმარდნენ 50%-იანი თანასუბსიდირება არის კანონის საფუძველზე, რითაც ბენეფიციარი სარგებელს ფაქტობრივად ვერ ღებულობს.

## 2.2 მაღალმთიანი რეგიონების შ:ედარება: ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი

2015 წელს მიღებული საქართველოს მთის კანონი ანუ კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" მიზნად ისახავს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასეკონომიკური თუ სოციალური კუთხით. მცხოვრებელი ინდივიდებისა და მათი საცხოვრებელი სოფლების განვითარებისთვის შეღავათების განსაზღვრას, რაც განაპირობებს დაბალგანვითარებულ მაღალმთიან რეგიონებში ადამიანების საარსებო პირობების გაუმჯობესებას. ასეთ რეგიონებში მოსახლეობა უფრო და უფრო მირდება, რის შედეგაც ბევრი სოფელი ცარიელი რჩება. კანონის აღსრულება შეცვლიდა პერიფერიიდან თბილისში ადამიანების გადასვლის უდიდეს ტენდენციას. 2019 წლის "მაღალმთიანი რეგიონების კონკურენტული უპირატესობის კვლევის" მიხედვით გამოიყო 21 მარაღალმთიანი მუნიციპლაიტეტი




წყარო: https://openscience.ge/bitstream/1/2837/1/Nani%20Vardamashvili%20Samagistro.pdf

ამის შესაბამისად ჩამოყალიბდა ეკონომიკური საქმიანობის წამყვანი მიმართულებები და რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასების ანალიზი. ახმეტის და მესტიის ტერიტორიაზე სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების დიდი რაოდენობა იკვეთება.

თუშეთის და მესტიის შედარებითი ანალიზის ფარგლებში ნათლად ჩანს დისბალანსი. თუშეთში ელექტომომარაგება არის მხოლოდ შენაქოში პატარა ჰესით, ისიც არასტაბილურად. საბედნიეროდ ჩეხეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტების დახმარებით იქ არსებულ სასტუმროებში იყენებენ მზის ენერგიას, ამ პრივილეგიით მხოლოდ რამდენიმე ინდივიდი სარგებლობს და ზამთრის პირობებში მზის ენერგიის გამოყენება ფაქტობრივად ვერ ხერხდება. ბუნებრივი აირი ფაქტობრივად არ არის. გამართული წყლის მიწოდების სისტემა არის მხოლოდ სოფელ ომალოსა და შენაქოში. კანალიზაციის პრობლემა ტურისტულ ლოკაციებზე სავალალო მდგომარეობაშია (ომალო, შენაქო, დართლო). ამისგან განსხვავებით მაღალმთიან მესტიაში გამართულია ელექტროენერგიის მიწოდება. მუნიციპალიტეტში მოგვარებულია ცენტრალური წყალმომარაგებისა და

კანალიზაციის საკითხი. თუმცა, გარკვეულ სოფლებში წყალმომარაგების პრობლემა მაინც არსეობს. ტექნიკურად, მთის კანონი განაპირობებს ისეთი გარემოს შექმნასა და არსებობას სადაც ადამიანებს მინიმალური საჭიროებებისდაკმაყოფილების საშუალება ექნებათ და შედგომ უკვე წარმოშობს ბენეფიტებს ტურიზმის განვითარებისთვის. სოფლების აგილობრივი მოსახლეობისთვის კანონით გათვალისწინებულია შეღავათები ელექტროენერგიასა და გადასახადებზე.

რესპოდენტი აღნიშნავს, რომ ზამთარში სხვა მაღალმთიან ექსტრემალურ კურორტებთან შედარებით, მაგალითად სვანეთი ან ბახმარო ნებისმიერ შემთხვევაში თუკი ადამიანი ცუდად გახდა ისეთი სიტუაცია ვერ იქნება, რომ ეს ადამიანი ვერ დააბრუნოს თვითმფრინავმა ან ვერტმფრენმა, თუშეთში რაიმე კრიზისული სიტუაციის შემტხვევაში სრულიად შესაძლებელია რომ უაზლოეს სამედიცინო პუნქტამდე ვერ მიგიყვანონ. ადამიანი მოწყვეტილია და იმყოფება იზოლაციაში გარდა ამისა, არ ხდება სახელმწიფოს მხრიდან არანაირი დახმარების გაწევა. ხელისუფლება არ აქცევს ყურადღებას იქ მოზამთრე სტატუსის მქონე ადამიანებს. აგალიტად ზემოაღნიშნული შეშის მოტანა ჯდეება ძალიან ძვირი ოფიციალურად მოჭრის შემთხვევაში. ერთი ოჯახის საკმარი შეშის უზრუნვლეყოფა მინიმუმ 1000 ლარია. ადგილობრივი ადამინიანისთვის კი, ეს თანხა წარმოუდგენელია. ესპოდენტი ამბობს, რომ სვანეთში და ყაზბეგში აქვთ სუბსიდიები დენზე და გაზზე, თუშეთში არც დენია, არც გაზი და არც შეშით ამარაგებენ. ადამიანები განწირულები არიან გასაყინად. რესპოდენტმა დაგვიზუსტა თუშეთის სოფლებში დარცენილი მაცხოვრებლების ზუსტი რაოდენობები :

ომალო - 6; შენაქო - 2; ჩიღო - 1; ბოჭორნა - 1; ბალოში -2 ; ჭეშო - 2; რომელთა ასაკი 50-დან 86-მდეა. (პირისპირი ინტერვიუ, 24.12.2023)

მაღალმთიან რეგიონებში მყოფთა ცხოვრების დონის ამაღლების, მათ საარსებო გარემოს მდგომარეობის განვითარებასა და გაუმჯობესებას არეგულირებს და ადგენს შესაბამის შეღავათებს კანონი - „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“. დადგენილების მიხედვით დაწესებული დახმარების პროგრამები ეკუთვნით იმ ტერიტორიაზე მუდმივად მოსახლეებს და საწარმოებს. (საქართველოს მაღალმთიანი

დასახლებების განვითარების სტრატეგია, 2018). ზემოაღნიშნულ 17 ადამიანს ფიზიკურად არაფერი მიუღია. (პირისპირი ინტერვიუ, 24.12.2023)

სვნაეთში მოსახლეობას ელექტროენერგია უფასოდ მიეწოდება, მაღალმთიანი სოფლები ზამთარშიც აქტიურად იღებენ დამსვენებლებს. ბოლო წლების ცნობებით მესტიის მუნიციპაიტეტში დენის მოხმარების რეკორდული მაჩვნებლები ფიქსირდებოდა. (მთის ამბები, 2019) თუშეთში ამ პერიოდში კი, საკმარისი შეშაც ვერ მოიძებნებოდა გასათბობად.

# თავი 3: საერთაშორისო კონვენციები და თუშეთის რეალობა

## 3.1 “კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ”

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ესა თუ ის მოთხოვნები იერარქიულად უფრო მაღლაა, ვიდრე ეროვნული კანონმდებლობით აღნიშნული ვალდებულებები. (ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცით- ტერიტორიული დაგეგმვის პროექტი 2018) მთის განვითარებისადმი სპეციფიური პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების საჭიროება განსაზღვრულლია არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. 2012 წელს რიო-დე-ჟანეიროში გაერთიანებული ერების კონფერენციაზე ისევ განიხილეს და დაამტკიცეს მაღალმთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების აუცილებლობის საკითხი. დაკისრებული პასუხისმგებლობა საბოლოოდ განისაზღვრა დეკლარაციის მიღებითაც. საქართველოს მთავრობა დაკავშირებულია „რიო +20-ის“ N66/288 დეკლარაციაზე და აღებული აქვს ვალდებულება მთის რეგიონების მდგრადი განვითარება საერთაშორისო დონეზე. (მწვანე ალტერნატივა, 2016)

„ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენციის აღიარებით 1994 -ში საქართველომ მიიღო პასუხისგებლობა ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუენბასა და უვნებლობაზე. ვინაიდნ, იგი პარალელურად წარმოადგენს მსოფლიო მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. შემდეგ პერიოდის ბიომრავალფეროვნების კონვენციის პირველი ეროვნული ანგარიში, 2003 წელს მომზადდა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული სიტუაციის მიმოხილვა. თუმცა, არ ხდეა კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინება კანონმდებლობის კუთხით და ზოგჯერ ეწნააღმდეება კიდეც გარემოსდაცვით გარემოსდაცვის სამართლებრივ ნორმებს. ეს ქმნის მნიშვნელოვან წინაღობას ამ

უკანასკნელის ფუნდამენტური იმპლემენტაციისთვის. (მაჭარაშვილი,2016) შემდეგ წლებში გრძელდებოდა კონვენციის იდეის გარშემო შესაბამისი დოკუმენტების და სტრატეგიების მომზადება. 2008-2015 წლის ინტერვალში დაგვიანებით გამოიცა „ეროვნული მოხსენების“ მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილი. მეორე და მესამე ეროვნული გეგმა უნდა დახმარებოდა კონვენციის მხარეებს მუშაობის პროცესის მიმდანარეობის სისწორის გაანალიზებაში ქვეყანაში კონვენციის დანერგვის ნაწილში. ხოლო 2014-2020 წლების საქართველოს ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმაში სტრატეგიულ მიზნებში მითითებულია: საკანონმდებლო ბაზის, შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობის მარეგულირებელი ნორმების დახვეწა და კანონმდებლობის დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებებთან თანხვედრით სრულყოფა (საქართველოს მთავრობის დადგენილება №343)

თუშეთის უამრავი ინფრასტრუტურული, გაუმართავი პრობლემის მოგვარება შედის ამ კონვენციის შესაბამისად შემუშავებული კანონმდებლობების დაცვაში. მიწათსარგებლობის მდგრადი დაგეგმარების განხორციელება, რეგულაციების აღსრულება საბინაო განაშენიანების გაფართოების კონტროლის მიზნით და თემზე დაფუძნებული კონსერვაციის მცდელობების ხელშეწყობა აუცილებელი ნაბიჯებია. კვლევის ფარგლებში რესპოდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე იკვეთება თუშეთში არსებული რეალობა. გარდა სახლების მშენებლობისა, გამომდინარე იქიდან, რომ მოსახლეობას არც გაზი აქვს არც წყალი და არანაირი საცხოვრებელი პირობები მიმდინარეობს ძველი ტყეების გაწმენდა და ველური ბუნების ჰაბიტატების მოშლა, რაც საფრთხეს უქმნის ადგილობრივ ეკოსისტემებს. არ ხდება საკმარისი შეშის გამოყოფა და არაკანონიერად ხდება ტყეების ჩეხვა. მთავრობის საქმიანობისა და დახმარების სეზონურობა ამწვავებს ამ საკითხებს, რადგან მხარდაჭერა ძირითადად ზაფხულის თვეებშია შესაძლებელი. შეზღუდული ინტერვენცია ამ პერიოდში აფერხებს მთელი წლის ძალისხმევას საზოგადოების წინაშე მდგარი გამოწვევების გადასაჭრელად. ეს სეზონური მიდგომა არ შეესაბამება კონსერვაციის უწყვეტ და ყოვლისმომცველ ძალისხმევას. ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია ხაზს უსვამს ადამიანის კეთილდღეობისა და ეკოსისტემების ჯანმრთელობას შორის ურთიერთკავშირს. თუშეთის შემთხვევაში, სათანადო საცხოვრებელი პირობებისა და აუცილებელი სერვისების არარსებობა

ასახავს ამ პრინციპების შესაბამისად შემუშავებული კანონმდებლობების შეუთავსებლობას რეგიონის განვითარების სტრატეგიების იმპლემენტაციაში.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშულისა, პირველი რესპოდენტი ასახელებს ერთ-ერთ ბოლო წლების გადაუჭრელ პრობლემას ნარჩენების კუთით - სველი სალფეტკები. ინტერიუს მონაწილე სველ სალფეტკებს თუშეთის ტყეების კოშმარად მოიხსენიებს. იგი აღნიშავვს, რომ ტურისტების ნაკადები მასიურად ტოვებენ ბუნებაში სველ სალფეტკებს და არ არის არანაირი ორგანო ან სამსახური, რომელიც ან გააკონტროლებს ან დაალაგებს ამ დაბინძურების უკიდურეს მდგომარეობას. (პირისპირი ინტერვიუ, 24.12.2023) აღსანიშნავია, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროექტის დოკუმენტის 1.8 თავში აღწერილია ახმეტის მუნიციპალიტეტის ნაგვისა და მყარი ნარჩენების მდგომარეობა, როგორც ,,ასე თუ ისე მოგვარებული" (1.8.3 გვ. 52), მაგრამ ასევე ხაზგასმულია თუშეთის ტურისტული სოფლების ძალიან მძიმე მდგომარეობა და კუსტარული ნაგავსაყრელების საკითხი. ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციით საქართველომ მიიღო ვალდებულება დაიცვას და შეინარჩუნოს ქვეყნის უნიკალური ბუნება, თუმცა ფარსმაში და სხვა სოფელებში ნაგავი პირდაპირ ხევში იყრება. (პირისპირი ინტერვიუ, 24.12.2023)

## 3.2 "ასოცირების ხელშეკრულება"

2014 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიდო "ასოცირების ხელშეკრულება", რითაც საქართველომ დაიკისრა ვალდებულებები გააუმჯობესოს გარემოსდაცვითი მმართველობა. ხელშეკრულებით აღიარებულია რიგი პასუხისმგებლობებისა მდგრდი განვითარების კუთხით. ხელშეკრულებით მხარეებმა დაადასტურეს ის, რომ სოციალურ-ეკონომიკური თუ გარემოს დაცვითი საკითხბი ყველა გადაჯჭვული ურთიერთგამომდინარეა. (EU Association, 2014) ხელშეკრულებაში განხილულია უამრავი საკითხი, მათ შორის ვალდებულება იმისა, რომ ხელი შეუწყონ ტყის დაცვას შესაბამისად, შეაჩერონ ტყის არაკანონიერი ჭრა და მასთან დაკავშირებულ ვაჭრობა. როგორც ჩვენი თუშეთის მოსახლე რესპოდენტი

იუწყებოდა, რომ ვინაიდან არ ხდება მოზამთრე მოსახლეობის უზრუნველყოფა შეშით ხდება უკანონოდ მისი ჩეხვა. ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ქართული კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. იმ კანონის გადმოტანა, რომლებიც ევროკავშირში არეგულირებენ გარემოს დაცვით საკითხებს.

ზემოაღნიშული თავის შეფასებისას ვხედავთ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველო აქტიურად ცდილობს გაერთიანებას საერთაშორისო გარემოსდაცვით კონვენციებში. ამის შესაბამისად ხდება სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმების შემუშავება. უდავოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონვენციებსა თუ ხელშეკრულებებში ჩართვა და დასავლური კანონმდებლობის სტანდარტებამდე მისვლის მცდეობები, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია შემუშავებული გეგმების და კანონმდებლობების იმპლემენტაცია და მათი შესაბამისი კონტროლი. კვლევის ინტერვიუების შედეგების მიხედვთ აშკარაა, რომ შემუშავებულია საჭირო კანონმდებლობა, მაგრამ არ არსებობენ არანაირი მარეგულიერებელი ინდივიდები თუ ორგანოები. შესახლმწიფო სტრუქტურების სისტემური მუშაობა სუსტია, რაც იწვევს თუშეთის გარემოს დეგრადაციას.

გარემოს დაცვის კუთხით, ასოცირების შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმების ანალიზი აჩვენებს, რომ აქტიურია მუშაობა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ჰარმონიული შერწყმისთვის. თუმცა, ამავდროულად, არცერთი კანონპროექტი არაა საბოლოოდ მიღებული და ბოლომდე იმპლემენტირებული მაღალმთიანი რეგიონების სოფლების უმეტესობაში, მათ შორის, ისინიც, რომლებიც უკვე მიღებულია და წარდგენილი არიან პარლამენტში.

კანონპროექტებით გათვალისწინებული თემების სირთულიდან გამომდინარე, მისი შემუშავება/განხილვა/მიღების პროცესის აღსრულების და მართვის ხარვეზები მოსალოდნელი იყო. გარემოს დაცვა საკმაოდ კომპლექსური მიმართულებაა, აქ მრავალი დაინტერესებული მხარეა და შესაბამისად, არ არის მარტივი კონსენსუსამდე მისვლა. ამასთანავე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არ

ავრცელებს საჭიო განმარტებიტ ინფორმაციას გაუთვალისწინებლობის მიზეზებთან დაკავშირებით საზოგადოების მხრიდან წარდგენილი შენიშვნებისთვის.

აღნიშნული ხელშეკრულებით, დაკისრებული ვალდებულებების შესრულების პროცესში, მოსახლეობის მონაწილეობის პრაქტიკა ჯერ კიდევ არათანმიმდევრული და სუსტია: კი, გარკვეულ შმეთხვევაში პროცესი გახსნილია და არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტების და დაინტერესებული პირების შეხედულებები აისახება განსახილველად გამოქვეყნებულ დოკუმენტში; თუმცა, ხშირად კანონშემოქმედებითი პროცესები და სენსიტიური საკითხები დახურულია. რესპოდენტების პასუხებიდან ჩანს, რომ სახელმწიფო არ ითვალისწინებს თუშეთის მაცხოვრებლების მოთხოვნებს და მოსაზრებებს საჭირო რესურსების პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით. (მწვანე ალტერნატივა,2016)

ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ტყითსარგებლობის უკანონო მოქმედებები, რომლებიც თავის მხრივ გადაჯაჭვულნი არიან სახელმწიფოს მხრიდან გაუმართავ ინფრასტრუქტურულ სისტემებზე. თუშეთის რეალობის გათვალისწინებით ნათელია, რომ ადამიანები გასათბობად იყენებენ შეშას, მისი კანონიერი ჭრა, ძვირი და ხანგრძლივი პროცესია. ასოცირების ხელშეკრულების მე-13 თავი „ვაჭრობა და მდგრადი განვითარება“ სრულად ეყრდნობა რიოს დეკლარაციის პრინციპებს და მიუთითებს საქართველოს მათი შესრულებისკენ. (ასოცირების შესახებ შეთანხმება,2014) ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად შემუშავებულია “ტყის კოდექსი” , რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ტყის მრავალფეროვნების დაცვას. სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების შესრლებიასა ტყის რესურსების დათვისებების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მახასიათებლების კონტროლს, შენარჩუნება და გაუმჯობესებას. (საქართველოს ტყის კოდექსი, თავი1)

# დასკვნა

საქართველოს მაღალმთიან დასახლებებში ცხოვრების დონის ასამაღლებლად, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით და ამ შემთხვევაში თუშეთში, დიდ მნიშვნელობას იძენს სპეციალური პოლიტიკის შემუშავება და გატარება. თუშეთში გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელების კვლევამ ნათელი მოჰფინა მთის რეგიონებზე მორგებული კანონმდებლობის რთულ გამოწვევებს, რამაც გამოავლინა მნიშვნელოვანი შეუსაბამობა თუშური ეკოსისტემებისა და თემების უნიკალურ რეალობასთან. ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების ყოვლისმომცველი ანალიზის შედეგად ცხადი გახდა, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზას, რომელიც შექმნილია მთიანი გარემოს დაცვის მიზნით, არ გააჩნია საჭირო ადაპტირება, თუშეთის კონკრეტული გარემოსდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად.

2015 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული "კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ", რომელიც უკავშირდება არსებულ მდგრადი განვითარების პრინციპებს პრივილეგიებს ანიჭებს მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობას, მაგრამ კვლევის შედეგად მირებული ცნობებით და მათი ანალიზით დადგინდა, რომ ამ ბენეფიტებით სარგებლობა ფატობრივად შეუძლებელია ვინაიდან, თუშეთის დასახლებებში მაცხოვრებლების დიდ ნაწილს არ აქვს სუფთა სასმელი წყალი, არ მოქმედებს კანალიზაციის ცენტრალიზებული სისტემები, მოსახლეობა გასათბობად იყენებს შეშას ვინაიდან მათ არც გაზი, არც დენი არ მიეწოდება. ტელე და საკომუნიკაციო სერვისებით სარგებლობა შეზღუდულია.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა: ტურისტული პოტენციალის პირობებში, კანონმდებლობის სუსტი იმპლემენტაციის როლის დადგენა გარემოსდაცვითი

პოლიტიკის ეფექტიანობაზე. მიზანის გამნხორციელება მოხდა ჩატარებული ინტერვიუების და დოკუმენტების ანალიზის მეშვეობით, რომელთა შეჯამებით დადგინდა, რომ მაღალმთიანი რეგიონებისთვის მიღებული კანონმდებლობების იმპლემენტაცია ძალიან სუსტან ან ფატქობრივად არ მიმდინარებს. ამთრის პერიოდში იმპლემენტაცია 0-ს უტოლდება.

ჩატარებული ინტერვიუების და დამუშავებული მონაცემებით მიღებული შედეგებით ჩანს, რომ ჰიპოტეზა : მზარდი ტურიზმის პირობებში, რაც უფრო სუსტია კანონის იმპლემენტაცია, მით უფრო დაბალია გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტიანობა, ცალსახად, გამართლდა იმდენად, რამდენადაც დღევანდელი დროის მონაცემებით, თუშეთის ტერიტორიაზე დარჩენია 17 ადამიანი უშუქოდ, გაზის და ფაქტობრივად შეშის გარეშე. კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ ფაქტობრივად არ შეესაბამებბა თუშეთის რეალობას, მისი იმპლემენტაცია არ განხორცილებულა. ჩატარებული ინტერვიუები თუ დოკუმენტები ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს არ შეუქმია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები, რომელებიც ზაფხულში გააკონტროლებდნენ გარემოსდაცვითი პოლიტიკის იმპლემენტაციას.

ჰიპოთეზის დასამტკიცებლად კვლევაში თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებული იყო პოლიტიკური ეკოლოგიის თეორია, რომლის მეშვეობითაც გაანალიზდა რთული ურთიერთდამოკიდებულება პოლიტიკურ სტრუქტურებს, ეკოლოგიურ სისტემებსა და ტურიზმის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ ელემენტებს შორის.

## ბიბლიოგრაფია


.არღუთაშვილი.ვ ( 2018) ტურიზმის ინდუსტრიის გამოწვევები საქართველოში.

https://www.researchgate.net/publication/342515258_The_challenges_of_tourism_industry_in_Georgia

“ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროექტი” (2018)

ბოჭორიძე.გ (1993) “თუშეთი : ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მასალები”

დაცული ტერიტორიების სამუშაო პროგრამის შესრულების მიმოხილვა Review of the Implementation of the Protected Areas Work Programme (2009)

დოლიკაშვილი.ლ, არაბული.კ (2021) “ტურიზმის საფუძვლები”

ვარდანაშვილი.ნ (2021) “საქართველოს მაღალმთიანი სოფლების მდგრადი განვითარების ტრენდები”

კოჭლამაზიშვილი.ი (2020) “თუშეთის სათემო ქსელი საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის განვითარების მამოძრავებელი ძალა გახდა”

მაღალმთიანი რეგიონების კონკურენტული უპირატესობის კვლევა (07.2019)

https://iset-pi.ge/storage/media/other/2021-10-06/57d7fc70-2671-11ec-bccb-a1e647c60504.pdf

“მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგია” 2019-2020 წ.წ.
სამოქმედო გეგმა.

მაჭარაშვილი.ი (2016) „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ კონვენვენცია

https://greenalt.org/app/uploads/2021/05/CBD_GEO.pdf

მთის ამბები (28.12.2021) “ელექტროენერგია გრაფიკით სვანეთში კრიპტოვალუტის მწარმოებელი ფერმების გამო”

მთის ამბები (13.09.2013) “Wi-Fi თუშეთში და ინტერნეტიზაციის შესაძლებლობები სხვა მთიან რეგიონებში”

მთის ამბები (13.08.2017) “დამახინჯებული თუშეთი

https://mtisambebi.ge/news/people/item/544-damaxinjebuli-tusheti

მწვანე ალტერნატივა (09.2016) “ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების შეფასება”

https://greenalt.org/app/uploads/2021/05/shesrulebis_shefaseba_september_2016_geo-1.pdf

ნეფარიძე.დ (2022) “გარემოს დაცვის პოლიტიკა ჭიათურისა და რუსთავის მაგალითზე”

პელილო.ა, კოჭლამაზიშვილი .ი (24.10.2014) “ტურიზმისა და სოფლის განვითარება:თუშეთი” https://iset-pi.ge/ka/blog/411-turizmisa-da-soplis-ganvitareba-tusheti

საქართველოს კანონი “მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” 2015 .

“საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023 “ (2018)

https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/2303

საქართველოს კანონი “საქართველოს ტყის კოდექსი” (2020)

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (24.12.19) "თუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის დასახლების - სოფელ დართლოს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ"

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის No18 ბრძანება „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"

"საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030" (11.2020)

ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შესწავლისა და შეფასების ეროვნული პროგრამა (1996)

https://shorturl.at/bdjP3

ხარატიშვილი.ლ (2022) შემოქმედებითი ტურიზმის მოდელები მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის.
https://blacksea-cbc.net/images/e-library/BSB1130_THC_-_Creative_Tourism_in_Georgia_GE.pdf

ხუროშვილი.ბ, ჭანია.ე (2020) "თუშეთის მდგრადი განვითარების ტენდენციები და სახელმწიფოს პოლიტიკა „მთის კანონის" ამოქმედების კვალდაკვალ"

Bakhaus.N, Salukvadze.G (02.2020) "Is Tourism the Beginning or the End? Livelihoods of Georgian Mountain People at Stake"

Brayant. R Bayley.S (03.07.1997) "Third World Political Ecology"

Khartishvili.L, Mitrophanenko T, Muhar.A, Penker.M (02.2020) "Issues with Applying the Concept of Community-Based Tourism in the Caucasus"

Lekiadze.T (2021) "Ideological Impact on Social-Economic Development of the Region of Tusheti (Georgia) after WWII"
https://www.researchgate.net/publication/349099653_Ideological_Impact_on_Social-Economic_Development_of_the_Region_of_Tusheti_Georgia_after_WWII

Robbins.P (11.2019) "Political Ecology: A Critical Introduction, 3rd Edition"

Švajda.J, Malac.L, Khartishvili.L (03.2020) "Balancing development and conservation needs of stakeholders in the Tusheti Protected Landscape"

Tsitsagi.M, Kvirkvelia.N, Gugeshashvili.M (11.2019) "Ethno-cultural resources and perspectives of the development of the ethno-tourism in Tusheti"
https://www.researchgate.net/publication/316645796_Ethno-cultural_resources_and_perspectives_of_the_development_of_the_ethno-tourism_in_Tusheti

Vig.J.N, Kraft.E.M Rabe.B (11.01.2021) "Environmental Policy: New Directions for the Twenty-First Century" Eleventh Edition

დანართი # 1

ინტერვიუებისთვის შემუშავებული კითხვარი

1).როგორ აღწერდით ტურისტული ნაკადის დინამიკას? ოდის გაიზარდა ან შემცირდა?

2) არსებობს თუ არა რაიმე სამართლებრივი ან მარეგულირებელი ბარიერი, რომელიც აფერხებს ტურიზმის ზრდასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას?

2.1რამდენად მიმდინარეობს ამ სამართლებრივი რეგულაციების აღსრულება?

3. რა პერსპექტივებს ხედავთ ტურიზმის გაზრდის თვალსაზრისით?

4. გზის საკითხი - როგორი არის ტქვენი მოლოდინი გზის გაუმჯობესების შემთხვევაში - რა გამოწვევები შეიქმნება?

5. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა, რათა უზრუნველყოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის უფრო ეფექტური განხორციელება ტურიზმის გაფართოების პირობებში?

6. რამდენი ადამიანი ცხოვრობს, რჩება თუშეთში ზამთარში?

7. არსებობს თუ არა კონკრეტული ინდიკატორები, რომლებიც, თქვენი აზრით, გადამწყვეტია გარემოზე ტურიზმის გავლენის შესაფასებლად?